ბიულეტენი

N5 (88)
ოქტომბერი–დეკემბერი 2018
აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ორგანო
გამოდის 2007 წლის ივლისიდან

წმინდა გაბრიელი

სვეტლანა ქუცაა -85

სვეტლანა ქეცბა -85

დახვეწილი და მომხიბვლელი

ზაურ კალანდია

ქალბატონ სვეტლანა ქეცბას სოხუმიდან ვიცნობდი.

ხშირად ვიყავი სოხუმში, გარკვეული ხანი იქ ვსწავლობდი კიდეც. ჩემი უფროსი ძმები – გენო და რენე იქ მყავდა და მეც შინაურულად ვგრძნობდი თავს. გენო ერთხანობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თეატრალურ საზოგადოებას, ქალბატონი სვეტლანა – მუსიკალურს ხელმძღვანელობდა. მანამდეც ტოლ-მეგობრებიც იყვნენ. ზოგჯერ ერთი და იგივე სტუმარი ჰყავდათ და მე, პოეზიაზე შეყვარებულ ყმაწვილს, მათ მარაქაში ყოფნის უფლება მქონდა. ქალბატონი სვეტლანა საოცრად თბილი, დახვეწილი და მომხიბვლელი იყო და თავისებური, ღიმილიანი მისალმებაც კი - ცის გახსნას ჰგავდა...

ზაფხულის დღეებში სოხუმური საღამოები, განსაკუთრებით, ზღვის სანაპირო – რუსთაველის გამზირი – სხვა მაგნიტური ველით იყო დამუხტული. ზღვის ჩუმ შრიალსა და სიმწვანეში მეორე სუნთქვა გეხსნებოდა და ლამის ერთი, ჯადოსნური ღიმილი, პეწი, სილამაზე ამკობდა სტუმარსა თუ მასპინძელს...

საქართველოს მთლიანობას მტერი არასოდეს აკლდა. მტერი შინაურია თუ გარეული, მტერია, ხოლო შენიანი თუ შენი გვარისა, უფრო სასტიკია და ულმობელი...

ასე და ამგვარად, რუსულ-ქართული ომი მივიღეთ, ქართულ-აფხაზური სისხლის ხარჯზე...

ეს სამარცხვინო ომი ქართველმაც წააგო და აფხაზმაც!

ამ უაზრო ომში ჩვენ, ქართველებიც ვართ დამნაშავე და აფხაზებიც!...

საწუხარი არის ეს!

...არსებობს სახარებისეული სიბრძნე: ჭეშმარიტება სამშობლოზე მეტიაო!

ეს, შეიძლება, სადავოა!

სხვათა შორის, რამდენადაც ვიცი, ქალბატონ სვეტლანას მის უწმიდესობასთან, ილია მეორესთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მისი ხშირი სტუმარი იყო. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით გახდა იგი აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი. დარწმუნებული ვარ, შეხვედრისას არაერთხელ უფიქრიათ და უსაუბრიათ ამ რთულ და ფაქიზ საკითხებზე.

შეიძლება ეს იყო, რომ ჭეშმარიტების გაცნობიერებამ უბიძგა ქალბატონს იმ მტკივნეულ ნაბიჯამდე, რომელმაც ის საბოლოოდ სამშობლოდან სამშობლოში დევნილად აქცია.

დიახ, ვერ უღალატა წარსულს, ვინაიდან წარსულის ღალატი, იგივე მომავლის ღალატია და მისი ერთობ საჩოთირო ნაბიჯი – პატარა სამშობლოდან დიდ სამშობლოში დაბრუნებით გამოხატა!

ამის ნათელი მაგალითია მისი დიდებული წიგნი „გულის სახსოვარი“.

ამ წიგნში სცემს დიდი და სიკეთით სავსე გული... ეს წიგნი ორი მოძმე და მშობელი ხალხის ერთგულებითა და სიყვარულით არის დაწერილი. აქ ჩანს, თუ რა სულიერებისა და კულტურის მატარებელი ერი ვართ. მარტო ის რად ღირს, რომ ქალბატონი სვეტლანა ქეცბას სანათესაო ოცამდე ქართულ-აფხაზურ გვარს აერთიანებს, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე ამ ორი ერის ისტორიასა და წარსულშია! ამ ერთიანობასა და სიყვარულს ეძღვნება, როგორც ეს წიგნი, ისე მისი შეგნებული ცხოვრებაც.

ამ ყველაფერს ხსოვნა და სიყვარული სჭირდება და თუ საქართველო აფხაზეთ-სამაჩაბლოიანად წელში გასწორდება, მაშინ უფრო დაფასდება!

ეს დრო დადგება, ალბათ! ღმერთია მოწყალე!

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრმა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმთან ერთად 2018 წლის 17 ოქტომბერს ჩაატარა საიუბილეო საღამო „სვეტლანა ქეცბა – 85“ . გთავაზობთ რამდენიმე გამოსვლას ამ საღამოდან:

მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე):

– სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი!

ქრისტესმიერ საყვარელნო ჩემო ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო. დღეს ვიხსენებთ დიდებულ ქალბატონს, დიდ მოღვაწეს, დიდ ადამიანს, რომელიც თავისი ცხოვრების მანძილზე იტევდა მრავალ საუნჯეს, რომელთაგან ერთ-ერთი ის იყო, რომ წარმოადგენდა საქართველოს გულს – აფხაზეთს, საქართველოს ნაწილს. ის იყო საქართველოს დიდი მოყვარული და, ამ თბილ, საქართველოს მოყვარულ გულს ის ატარებდა აფხაზეთში, ხოლო ოკუპაციის შემდგომ ის წარმოადგენდა აფხაზურ დიდებულ გულს თბილისში. ჭეშმარიტად დიდი ქალბატონი იყო. თქვენ კარგად გახსოვთ, როგორი მოყვარული იყო და როგორ უყვარდა საზოგადოებას! მისი მეგობრები ამბობდნენ (თქვენ იცით, რომ ჩვენი ეკლესიის შვილი იყო), რომ თუ დარჩებოდა აფხაზეთში, ექნებოდა დიდებული, მშვენიერი ცხოვრება, ჰპირდებოდნენ მრავალს, მაგრამ მან ირჩია ყოფნა დევნილობაში და 300 ათასამდე მშობლიურ კერას მოწყვეტილი ადამიანის ბედი გაიზიარა. როგორც ვთქვით, ამ აფხაზ ქალბატონს ჰქონდა დიდი ქართული გული. ეს იყო გამოხატულება ძველი საქართველოსი. თქვენ იცით, რომ მუდამ და ყოველთვის სწორედ აფხაზეთიდან, როგორც საქართველოს ნაწილიდან, იწყებოდა ჩვენი სამშობლოს აღორძინება და ჩვენს მეფეებსაც, ძირითადად, ერქვათ აფხაზთა მეფეები და რუსმა მკვლევარებმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში შეისწავლეს იქაური დიდებული აფხაზების ყოფა და ცხოვრება. ამბობდნენ, გვიკვირს, ყველა დიდებულის შვილი დედის მკერდიდანვე იწყებდა საუბარს ქართულ ენაზე და პირველი სიტყვა, არის სიტყვა დედა. ქართულად იზრდებოდნენ და ამიტომაც ქართული სისხლი ესოდენ ძლიერად ჩქეფდა მათში. ქართული სიტყვა, ჩვენი სახელმწიფო ენა, შეიძლება ითქვას, კავკასიის დიდ ნაწილშიც ყოველთვის იყო ურთიერთობის ენა, ადმინისტრაციის ენა და, ამავე დროს, საეკლესიო ენა. ტაძარეულში წირვა-ლოცვა ათასწლეულების მანძილზე უწყვეტად აღესრულებოდა ქართულ ენაზე, იქაური დიდებული საეპისკოპოსოები (ბიჭვინთი, ბრანდის, მოქვის, ბედიის და კიდევ სხვა) სავსე იყო ჩვენამდე მოღწეული ქართული წიგნებით.

დიდებული ქალბატონი სვეტლანა იყო ქართული კულტურის, ქართული სულიერების, მატარებელი, დევნილთა დიდი სატკივარის მოზიარე. ამ უდიდეს დრამას და ტრაგედიას პატრიარქმა მოყვარული გული დაახვედრა, როგორი სიყვარულით, როგორი პატივისცემით მიიღო. თვითონაც მინახავს, როგორი ბედნიერი იყო ქალბატონი სვეტლანა პატრიარქის წრეში. უწმიდესთან სიახლოვე გავსებს რაღაც მადლით, რაღაც სითბოთი და აი ამ საოცარი სიმდიდრის მატარებელი იყო ქალბატონი სვეტლანა.

უღრმესი მადლობა ორგანიზატორებს, ვინც ჩვენ დღეს შეგვკრიბა და, შეგვკრიბა, რა თქმა უნდა, უფლის მადლმა. უფლის სიყვარულით მოვედით, რომ ამ დიდებულ ქალბატონს პატივი მივაგოთ. ხსოვნა იყოს მისი და განათლება.

ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი ოთარ ჟორდანია:

ქალბატონი ლანა, ქალბატონი სვეტლანა იმ აფხაზ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა სახელები დარჩება საქართველოს და, მათ შორის, აფხაზეთის ისტორიაში. ქალბატონმა ლანამ იმ დროს, როდესაც საქართველოს ყველაზე მეტად გაუჭირდა, როდესაც ასარჩევი იყო – გავყვეთ დემოკრატიის გზას თუ დავუბრუნდეთ წარსულს, აირჩია გზა, აირჩია ეკლესია, რომელიც საქართველოსაკენ იყო მიმართული, რადგან იცოდა, რომ

საქართველო ის ქვეყანაა, ის რეგიონი, სადაც ქართველებთან ერთად აფხაზები იქნებიან სრულყოფილი წევრები ამ სახელმწიფოსი. ეს არჩევანი იყო რთული, იმდენად რთული, რომ მხოლოდ რჩეულებმა აირჩიეს და გააკეთეს ის, რასაც ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობის გაგრძელება და განმტკიცება ჰქვია. მე, ამ რჩეულთა შორის, უპირველესად, თქვენთან ერთად, ქალბატონ სვეტლანას მოვიგონებ.

ქალბატონი სვეტლანა კარგად ცხოვრობდა, მას ყველაფერი ჰქონდა აფხაზეთში, არ ჰქონდა არავითარი პრობლემა, დაფასებაც ჰქონდა, სიყვარულიც, დოვლათიც საკმაოდ ჰქონდა, მაგრამ იყო შვილი საქართველოსი და იყო შვილი აფხაზეთისა. ახლა მისი მოღვაწეობის შესახებ აქ სპეციალისტები ისაუბრებენ. ის საკმაოდ სახელგანთქმული ქალბატონი ბრძანდებოდა. მან ბევრი რამ გააკეთა აფხაზეთში კულტურისა და, განსაკუთრებით, მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის. მას ვიცნობდი ახალგაზრდობიდან და დღეს განსაკუთრებით მაგონდება მისი ბრწყინვალე სიტყვა, რომელიც წარმოთქვა აქ, რუსთაველის თეატრში თუ, არ მახსოვს, ოპერის თეატრში, როდესაც ბაგრატ შინკუბას მიანიჭეს პრემია და ის გამოვიდა სიტყვით. ეს იყო არაჩვეულებრივი სიტყვა აფხაზი ქალისა, რომელიც გამსჭვალული იყო სიყვარულითა და პატივისცემით ქართველი ხალხისადმი და სიამაყის გატაცებით ლაპარაკობდა თავის ხალხზე, აფხაზეთზე. მინდა ვთქვა, რომ, როდესაც ქალბატონი სვეტლანა გადმოვიდა თბილისში, მას ყველანაირი პატივი მიაგეს – ეკავა თანამდებობდები აფხაზეთის მთავრობაში, კიდევ უფრო მეტიც – ის იყო საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე. თუმცა, ჩვენ მაშინ ბოლომდე ვერ შევიმეცნეთ, ვინ არის ჩვენთან, სათანადო პატივი ვერ მივაგეთ. უნდა გავითვალისწინოთ, რაც უფრო დრო გავა, მით უფრო უფრო მეტად იმუშავებს მისი სახელი და მისი ღვაწლი ქართველებისა და აფხაზების დაახლოვების საქმეში.

და ბოლოს, საქართველოში არ იყო ხელოვანი, რომელთანაც მას ურთიერთობა არ ჰქონდა. ეს ურთიერთობა ქართველ მოღვაწეებთან, ქართველ მუსიკოსებთან მან არჩვეულებრივად დაალაგა თავის წიგნში და იმდენად კარგად გააკეთა, რომ, რაც უფრო მეტი დრო გავა, მით უფრო დიდი ღირებულება ექნება ამ წიგნს.

აფხაზეთს თავის დროზე ჰყავდა საკმაოდ დიდი მოღვაწეები. საკმარისია გავიხსენოთ მარტო გიორგი შარვაშიძე – ეს რამხელა კაცი მოგვცა აფხაზეთმა! აფხაზეთის ტახტის მემკვიდრე ამბობდა, რომ საქართველოაო ჩემი სამშობლო. ის ხომ კლასიკოსია. მსგავსი რამ სხვა ქვეყანაში არ ხდება, ან ცოტა ხდება და როდესაც ქალბატონი სვეტლანას ადგილს ვეძებთ სრულიად საქართველოსა და, მათ შორის, აფხაზეთის ისტორიაში, ის არის იმ საქმის გამგრძელებელი, იმ ქალბატონთაგანი, რომლებიც ყოველთვის ამშვენებდნენ აფხაზეთს. მათ შორის იყვნენ ქართველები და იყვნენ აფხაზები. ქართველებიდან დავასახელებდი ჩვენი დიდი მწერლის შალვა დადიანის დას – მარიამ (მაშო) დადიანი-ანჩაბაძისას, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთში ქართული და აფხაზური კულტურის განვითარებაში.

ქალბატონმა სვეტლანა ქეცბამ თავისი საქმიანობით დაადასტურა ის დიდი სიყვარული, რომლის მატარებელი იყვნენ აფაზეთისა და საქართველოს საუკეთესო შვილები. ეს ჩვენ იმედს გვაძლევს, რომ დავბრუნდებით აფხაზეთში და ჩვენ ერთად ავაგებთ იმ სახელმწიფოს, რომელსაც ჰქვია საქართველო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია:

– ქალბატონი სვეტლანა მიეკუთვნება მოღვაწეთა იმ რიცხვს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში. მადლობა მინდა მოვახსენო დღევანდელი საღამოს ორგანიზატორებს, ქალბატონ რუსიკო წურწუმიას, რომელსაც მიჰყავს დღევანდელი საღამო. მადლობა ყველას, ვინც დღეს მოვიდა და პატივი მიაგო ქალბატონ სვეტლანას, მის მოღვაწეობას, მის სახელს. ამ საზოგადოების შემადგენლობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად დიდი იყო ქალბატონი სვეტლანას ღვაწლი ქართულ და აფხაზურ საზოგადოებაში.

გმადლობ, შენ, უფალო...

ციცინო ჯულუხიძე

ლამაზია ოქროსფერი შემოდგომა ზემო იმერეთში – წითელ-ყვითლად აფერადებული გორაკები, დაკლაკნილი მდინარეები, ყოველ მოსახვევში რომ იცვლიან გეზს. სახელებიც როგორი ჰქვიათ – დუმალა, ჩხერიმელა, რიკოთულა – თითქოს ეფერები და გეფერებიან თვითონაც, ენის მოჩლექით გესაუბრებიან...

ტაბაკინის წმ. გიორგის სახლობის მონასტრისაკენ მივეშურებით. დღეს ჩვენ, მამა ბიძინა გუნიას მრევლი, მეშვიდე საუკუნის ამ უძველეს მონასტერს მოვილოცავთ. გზა კარგია, შორსაც არ არის თითქოს – სულ 7 კილომეტრია ცენტრალური ტრასიდან, მაგრამ რა სილამაზეა! სულ მალე სოფელი მთავრდება და ირგვლივ მხოლოდ ხალიჩასავით აჭრელებული ფერდობებია, სადაც აქა-იქ სკები მოჩანს. ვუახლოვდებით მონასტერს, მაგრამ ერთგან გზა გადათხრილია – ტრაქტორი მუშაობს, ტაბაკინამდე კი ჯერ კიდევ ორიოდე კილომეტრია. რა ვქნათ? რა თქმა უნდა, გზა განვაგრძოთ, აქ ხომ ამისთვის მოვედით! შევუდექით აღმართს. გზად ტყრუშული ღობით შემოზღუდულ საპურმარილოს გავუარეთ, სახელიც იმერული ჰქვია „საკვინტრაო“.

ბოლოს ტაძარიც გამოჩნდა. ჩემდაუნებურად აკაკის სიტყვები გამახსენდა „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად, მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს“. ალბათ, სულმნათ მგოსანს ეს პატარა ტაძარი ედგა თვალწინ...

თბილად შემოგვეგება ტაძრის წინამძღვარი იღუმენი იაკობი (ჭოხონელიძე), დაგვლოცა, ჩვენთან სურათიც გადაიღო და მონასტრისკენ გავეშურეთ. იქ მამა მოსე დაგვხვდა – სპეტაკი წვერით, ასკეტური გარეგნობით...

ტაბაკინი ორნავიანი ბაზილიკაა, უძველესი ფრესკებია შემორჩენილი. მე-19 საუკუნეში აქ, თურმე, სამოცდაათამდე ბერი მოღვაწეობდა, ახლა მამა იაკობი, ბერი მოსე და ორი მორჩილია – ზაქარია და იობი.

მამა ბიძინამ საჯანმრთელო პარაკლისი გადაიხადა, ჩვენი მრევლის მგალობლებმაც დაგვატკბეს ტკბილხმოვანებით.

უკან უკვე ჩვენი ტრანსპორტით დავბრუნდით. „საკვინტრაოში“ გავშალეთ ტრაპეზი – ისეთი გარემო იყო, თითქოს რამდენიმე საუკუნით დავრუნდით უკან – ბინდშეპარული მთების ფონზე კოცონი და ფანდურზე ამღერებული მრევლი...

გმადლობ, შენ, უფალო, ამ ბედნიერი დღისთვის!

„აფხაზეთი ქართულ დოკუმენტურ ფილმებში“

აფხაზეთის მონატრება – ეს იყო ლაიტმოტივი შეხვედრისა, რომელიც 2 ოქტომბერს აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ოფისში გაიმართა. მოწვეულმა სტუმრებმა: ქართული დოკუმენტური კინოსტუდია „მემატიანის“ დირექტორმა რევაზ მახათაძემ, კინოდოკუმენტალისტმა ნოდარ ფალიაშვილმა გაგვაცნეს დღეისათვის სტუდიაში დაცული აფხაზური დოკუმენტური ფილმების ფონდი და ნიმუშად წარმოგვიდგინეს: „საბჭოთა ლიტერატურის დღეები აფხაზეთში, 1984 წ.“ და „გამარჯობა, ნიკოლაი ვოუბა“, მეორე მსოფლიო ომის მეომარზე, რომელიც 80-იან წლებში გადაიღო აფხაზეთსა და გერმანიაში ქართველ კინოდოკუმენტალისტთა ჯგუფმა. [illegible]ედრაზე დამსწრეებში ნოსტალგიამ კიდევ უფრო იმძლავრა კლიპის „სიმღერა აფხაზეთზე“ ჩვენებამ, რომელიც ნაწარმოების ტექსტისა და მუსიკის ავტორმა მანანა ვარდოსანიძემ გაგვაცნო.

ღონისძიება მიეძღვნა „იმედისა და ხსოვნის დღეს“.

აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის, საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის 2018 წლის დათა გულუას სახელობის პოეზიის კონკურსის „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“ ლაურეატთა ლექსები

ქეთი ნაჭყებია

მეორე პრემია

ბაღათერ არაბულის „პირადი სიმპათიის პრიზი“

მაყურებლის პრიზი

აფხაზეთი

ასინეთას ბავშვი, მეგონა..
ყოველ დილით, თავის სამკაციან „ტახტზე“ იჯდა
და გამორთულ ტელევიზორს აკვირდებოდა,
რომელსაც თავზე დეკორაციისა და შეტი ესთეტიკისთვის,
 სულ რაღაც თეთრი ნაქსოვი ჰქონდა გადაფარებული.
(ასეთი ნაქსოვები ჩვენც გვქონდა სახლში).
– ისინი იცვლებოდნენ ამინდის მიხედვით,
თარიღების მიხედვით, წლების მიხედვით,
მაგრამ შუქი
მხოლოდ ზოგჯერ თუ გაიელვებდა ამ წკვარამ ყოფაში.
და გადიოდა დრო ასე,
და ისეც.
და ესეც,
და, როცა ბურთის თამაშისგან ქანცგაწყვეტილები,
ვეშვებოდით ასინეთას სამკაციან „ტახტში“, –
მე, ასინეთა და ილო,
 ვაკვირდებოდით გამორთულ ტელევიზორს,
და წარმოვიდგენდით, თუ რა ფილმი შეიძლებოდა გაეშვათ.
შუქი კი ისევ ღმერთივით გადაკარგულიყო ჩვენთვის,
მაგრამ ომიდან გამოგზავნილი დეპეშები
ყოველ კვირას ჩამოჰქონდათ,
რომელსაც ასინეთა ამ ტახტის გვერდით ინახავდა – სკივრში...
და გადიოდა დრო ასე,
– ან ისე,
– ან ესე.
და ისინი იყვნენ ბავშვები – აუხდენელი ოცნებებითა და
სურვილებით.
მე კი არ ვიყავი.
– ასე, უბრალოდ – არ ვიყავი არც აქ,
– არც იქ.
მე პლაჟის ოქროსფერ მტვრად ვიყავი ქცეული ... და
თოლიებად,
რომლებიც ქარის საწინააღმდეგოდ სწავლობდნენ ფრენას.
და მიფრინავდნენ იქით,
სადაც სინათლე იყო.
სადაც არასდროს დგებოდა უშუქობა ისე,
როგორც ჩვენთან,
– აფხაზეთში.

გიორგი ბალახაშვილი

მეორე პრემია

ბ[illegible]ერ არაბულის „პირადი სიმპათიის პრიზი“

უერთმანეთო დღეებია

უერთმანეთო დღეებია. ასეთ დროს წერა,
გამოსავალი სულ არ არის ანდა პირიქით...
ზიხარ და ფიქრობ, რომ ცხოვრება უბრალოდ წრეა,
სადაც გზები და ბილიკები, თუნდაც ირიბად,
ერთმანეთს კვეთენ და საზღვრებიც ისე გბეზრდება,
როგორც ბავშვობისდროინდელი, ძველი ფობია,
სიტყვების მიმართ, მათ რიგშია: „მანკი“, „ეგზემა“,
კიდევ ათასი სისულელე, შენ კი მშობლიურ,
დროში გამოცდილ და უტყუარ მეთოდს მიმართავ
ანუ სასმელთან მიძალებით ტკივილს იქარვებ,
რადგან საერთოს ვეღარაფერს ხედავ იმათთან,
ვისთანაც ხშირად მოდიოდი, მაგრამ იქამდე,
იყავით ერთად, ვიდრე გზებიც გქონდათ საერთო,
სანამ გესმოდათ ერთმანეთის, თანაც უთქმელად,
იყავით ახლოს, ერთმანეთის მსუბუქ ჰაერთან
და უფრო ახლო, ოღონდ მძიმე (ამო)სუნთქვებით
და ამ მომენტებს არ უჩანდა წერტილი, ბოლო,
ერთი შეხედვით ყველაფერი იყო უზადოდ...
გულის სიღრმეში ვიცინო[illegible] სიღრმეში, მხოლოდ,
როგორც ჩანს, თავებს ვი[illegible]ადით, თვალებს ვხუჭავდით.
უერთმანეთო დღეებია.ასეთ დროს წერა,
გამოსავალი სულ არ არის, ანდა პირიქით.

ზაზა სუყაშვილი

მესამე პრემია

საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის პრიზი

ელდინო საღარაძის „პირადი სიმპათიის პრიზი“

მარინა თექთუმანიძის „პირადი სიმპათიის პრიზი“

მაყურებლის პრიზი

სამი მეთევზე

იყო ბავშვობა. ცხენი გვყავდა, წაბლა-ფაშატი,
ტანად მაღალი... შუბლზე ჰქონდა მოთეთრო ლაქა
და შორიდანვე ანათებდა თავის ყაშხათი...
და როცა ნაცნობს დალანდავდა, იწყებდა ფრუტუნს.
მამაჩემი კი გაახვევდა ქაღალდში თუთუნს,
მზის ამოსვლამდე აიღებდა კეხსა და ლაგამს,
ცხენს შეკაზმავდა...
და მივდიოდით სათევზაოდ, წესია, როგორც,
მე, მამაჩემი და ჩემი ძმა, ალაზანზე.
შვიდი წლის ვიყავი, მაგრამ, განზე
მე არ დავდექი
და დავიჭირე, ჩემი წილი – პირველი ლოქო.

ხმელი ანკესით ვთევზაობდით გაღმა-გამოღმა,
სატყუარაზე მდინარესაც გაეხსნა მადა
და გადაყლაპა ნედლი ჭია – ვებრძოდი ნადავლს...
ხოლო ბამბუკზე დაჭიმული დამძიმდა ძუა,
როგორც მძიმდება მოგონება ბავშვობის წლებზე,
მე დავიჭირე ჩემი წილი...და საღამოხანს –
ჩვენ გავიყავით – მჭადი, ყველი და ხმელი ყუა
და ნაკვერჩხალზე უმარილოდ შემწვარი თევზი.
ღამით ურემზე წამოვწექით, გვერდით კი გვენთო
დიდი კოცონი. ნედლი შეშის უსმენდა შიშინს
ყურდაცქვეტილი ჩვენი წაბლა, დამფრთხალი ერთობ...
და შიშით გვიახლოვდებოდა უცნობი ჯიშის
კივილი ტყიდან... ყეფა ტყიდან... ყმუილი ტყიდან...
ძმას ჩავეჭიდე, ის კი მამას... მამა ურმიდან
დაბლა ჩავიდა, დაიძახა (იმ შიშად ღირდა) –
ე-ჰე-ჰე-ჰე-იიი!... და ტყეს ექომ გადაურბინა!

ხოლო უცხო ხმა მისამარდა, იქვე, ბუჩქებთან
და ფეხაკრეფით გაიპარა მდინარეც – მდორე.
გვიან ღამით კი, როცა წაბლას შარდი მოჩქეფდა,
მთას აზღუდიდან გამოუჩნდა გავსილი მთვარე.
მერე კი ცხენი მშვიდად მოდგა ურმის ჭალებთან,
გათენდა...და ჩვენც გამოვბრუნდით ღამენათევზე
და მახსოვს, გზაზე, როგორ დინჯად მიჭრიალებდა,
ერთი ურმით და ერთი ამბით – სამი მეთევზე.

თორნიკე კომლაძე

მესამე პრემია

არქიმანდრიტ ადამის (ახალაძის) „პირადი სიმპათიის პრიზი“

ლოცვა

მას ჟამსა შინა, რა ვსცან პირველად ღმერთი ჩემი,
მკრთალი სიცივით დამარხული ემბაზის ფსკერზე.
ველოდი სიკვდილს, როგორც ახლა ნაძვის გირჩები
ელიან თოვას.
დაეკიდა კისრის სისქეზე
ჯვარი, რომელიც მამის ხელმა გულზე მომარგო.
მამის, რომლისაც აღარც მახსოვს უკვე კეთილი
თვალებიც. მერე, თოვლი იყო. არც ისე კარგი
გამოდგა ხორცი სულისათვის და ასე თლილი,
საარცერთფეხო ბილიკებით ვიარე. ახლა,
ფარვანებივით ემალება ჩემი თვალები
ამ ლამპიონებს და მათ შორის ამოსულ სახლებს
იების მსგავსად. სახლი იყო მშვიდი და წლებიც
მარტივი, რადგან მარტივია იცხოვროს სამმა
ერთსულ და ერთხორც და თანდათან წარსულს მიწაში
ვმარხავდით. მერე, ქარი იყო და იყო დრამა,
თან ისე კარგი, რომ ფოთლებმაც დამიკრეს ტაში.
ბოლოს კი ზამთრის მიწურულზე ჩვენ დავრჩით ორნი,
საერთო გვქონდა თითები და ცივი მზე მრავლად.
მე, თუმცა, ტკივილს დავატარებ შავ ფილტვებს შორის,
თვალებში მაინც არგამხელილ იმედებს ვმალავ.
მას ჟამსა შემდგომ, რა ვსცან პირველად ღმერთი ჩემი,
ჩუმი სხივებით რომ დაეცა მბზინვარე ოლარს,
ველი მას მარტო, როგორც ახლა ნაძვის გირჩები
ელიან თოვას
ელიან თოვას
ელიან თოვას...

მდელვარეგა

არსად, არასდროს არავისთვის მიამბია ზღვიან ქალაქზე –
არ წამართვან-თქო (მერამდენედ!)
წარმოსახვით, ქაფით ნაქსოვი, ქაფივით თეთრი და
მშვენიერი...

დაბადებიდან დამებედა ორი ქალაქი –
ბაბუს და ჩემი (მონაყოლი, წარმოსახული) –
ზღვით და უზღვაო...
დღისით ვერა და, ღამით, სამოთხის ფოლორცებში
ფეხდაცურებულს,
მუხლისთავები სიზმარეთში ამტყავებია...
იქ წაქცეული, აქაც ვკოჭლობდი,
სანამ ცხადის ცხელი სუნთქვა შემაფხიზლებდა...
ზღვაზე ვფიქრობდი (სხვა ვერაფერზე)
ცხადის ალმურში...
კიდევ – ბაბუზე...
ზღვის ქალაქი მისგან ვიცოდი ,
ნაპირების ხმა – ზღვის ყველა მხრიდან...
ზღვა (და ზღვასავით სველი მზერა ბაბუსი)
ცხადის ალმურს მიგრილებდა უზღვაობაში...
ბაბუ (ზღვასავით) ღელავდა ზღვაზე
და ზღვასავით მიიქცა მერე...
ბაბუ არაა... აღარაა... მხოლოდ ჩემშია...
ზღვაც სადღაცაა... ისიც – ჩემში (ბაბუასავით)...
ცხადის ალმურში
ზღვა და ბაბუ
ღელავენ
ჩემზე...

საეკლესიო კალენდარი

2 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 27-ე კვირა – ღირ. მამის ილარიონ ქართველის ხსენება (875 წ.);

4 დეკემბერი (სამშ.) – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანება;

6 დეკემბერი (ხუთშ.) – მოწ. გრიგოლ არქიმანდრიტის (ფერაძე) ხსენება;

7 დეკემბერი (პარ.) – დიდმოწამეთა მერკურისა (III ს.) და ეკატერინეს ხსენება (305-313 წ.);

8 დეკემბერი (შაბ.) – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულის წარგზავნა;

12 დეკემბერი (ოთხშ.) – მღვდელმოწამე აბიბოს ნეკრესელის ხსენება (VI ს.);

13 დეკემბერი (ხუთშ.) – მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ხსენება;

– წმ. მეფის ვახტანგ გორგასლის ხსენება (502 წ.);

14 დეკემბერი (პარ.) – წინასწარმეტყველ ნაუმის ხსენება (VII ს. ქრის. წინ);

15 დეკემბერი (შაბ.) – ღირ. ისე წილკნელის ხსენება (VI ს.);

17 დეკემბერი (ორშ.) – დიდმოწამე ბარბარეს ხსენება;

18 დეკემბერი (სამშ.) – ღირ. საბა განწმენდილის ხსენება (532 წ.);

19 დეკემბერი (ოთხშ.) – წმ. ნიკოლოზის, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 345 წ.);

22 დეკემბერი (სამშ.) – მუცლადღება მართლისა ანას მიერ ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა;

23 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 30-ე კვირა – მოწ. მეფე ვახტანგ III-ის ხსენება (ძისა მეფისა დემეტრე თავდადებულისა);

24 დეკემბერი (ორშ.) – ყოველთა წმიდათა საქართველოში წამებულთა და ღირსთა მამათა და დედათა ხსენება;

25 დეკემბერი (სამშ.) – წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელი ეპისკოპოსის ხსენება (დაახ. 348 წ.);

– სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II აღსაყდრების (ინტრონიზაციის) დღე;

26 დეკემბერი (ოთხშ.) – მოწ. ევსტრატის, ავქსენტის, ევგენის, მარდარის და ორესტის ხსენება (284-305 წ.);

29 დეკემბერი (შაბ.) – წინასწარმეტყველ ანგეას ხსენება (500წ. ქრ. წინ);

30 დეკემბერი, სულთმოფენობიდან 31-ე, წმიდა მამამთავართა (მართალ მამათა) კვირა – წინასწარმეტყველ დანიელის და 3-თა ყრმათა: ანანიას, აზარიას და მისაილის ხსენება (600 წ. ქრ. წინ);

გმადლობ, შენ, უფალო...

„აფხაზეთი ქართულ დოკუმენტურ ფილმებში“

ISSN 2298-0865

9 772298 086004 >

სარედაქციო კოლეგია: ირინა ქეცბა, დეკანოზი ბიძინა (გუნია), ლია სეხნიაშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორი ციცინო ჯულუხიძე

© 2018, სსიპ „სულიერებისა და კულტურის ცენტრი“

ტირაჟი: 300 ცალი

თბილისი, თოფურიას ქ. №12, ტელ.: 231-51-30, 599-05-96-11